ცნობის ფურცელი

№ 2476 შაბათი, 24 აპრილი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2476

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატება—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„М амбэ“. ტელეფონი № 372.

20 აპრილიდან ტფილისის ხელის მომწერთ ურიგდებათ დღისით მოსული დეპეშები

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1 აპრილიდან წლის დამლევამდე სურათებიანის დამატებით ღირს 5 მან.

ვისაც ჟურნალ-გაზეთის ფული სრულად არა აქვს შემოტანილი, რედაქცია სთხოვს 1 მაისამდე გამოგზავნოს უეჭველად ხვედრი შემოსატანი, რომ გამოცემათა გზავნა არ მოესპოთ.

რედაქცია კვლავ აცხადებს, რომ ვერავითარ მიწერ-მოწერას ვერ გამართავს კორესპონდენციების, წვრილ წერილებისა და ლექსების დაბეჭდვისა თუ დაუბეჭდველობის შესახებ, თუნდაც ავტორებს საპასუხო მარკები ჰქონდეთ გამოგზავნილი.

რედაქცია არ ინახავს კორესპონდენციებს, წვრილ წერილებსა და ლექსებს, თუნდაც ავტორებს ამის გამო წინდაწინვე სურვილი გამოეცხადებინოთ რედაქციისათვის.

რედაქცია ინახავს მხოლოდ სამის თვის განმავლობაში დაუბეჭდავ სტატიებს, ბელეტრისტულ ნაწარმოებს (ორიგინალურს თუ თარგმანს) და სხვა მოზრდილ ხელნაწერს, რომელთაც უკან დაუბრუნებს ავტორთ მათისავე ხარჯით; სამის თვის შემდეგ-კი ამგვარი წერილებიც ისპობა. (რ.)

ოლგა სტანისლავის ასული ფითოევისა და მარგარიტა ისაიას ასული ბელეცკისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას პირველი საყვარლის ქმრისა, ხოლო მეორე მამის

ისაი იაგორის ძის ფითოევისას,

რომელიც 22 აპრილს გარდაიცვალა.

პანაშვიდები—პარასკევს, 23 და შაბათს—24 აპრილს საღამოს 7 საათზე. ცხედარს გამოასვენებენ კვირას, 25 აპრილს, დილის 10 საათზე საკუთარ სახლიდან მოლნინის წმ. გიორგის ეკლესიაში და იქიდან ხოჯივანქის სასაფლაოზე. (3—170—2)

ნინო იაგორის ასული ტერ-მაკირტიჩიანცი, ალექსანდრე, კონსტანტინე და ივანე იაგორის ძენი ფითოევები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასის ძმის და ბიძის

ისაი იაგორის ძის ფითოევის

გადაცვალებას. (3—170—2)

სავაჭრო სახლის „ისაი იაგორიჩ ფითოევი და კ°“ ამხანაგები მწუხარებით აცხადებენ, რომ დაუფასებელი ამხანაგი და სავაჭრო სახლის მეთაური

ისაი იაგორის ძე ფითოევი

გადაიცვალა. (3—170—2)

სავაჭრო სახლის „ისაი იაგორიჩ ფითოევ და კ°“ მეთაურის

ისაი იაგორის ძე ფითოევის

გარდაცვალებისა გამო სავაჭრო სახლის უმთავრესი კონტორა ტფილისში ამ თვის 27 აპრილამდის, სამშაბათამდე, დაკეტილი იქნება. (4—170—2)

ძმ. ნიკიტინების ცირკი.

დღეს და ხვალ უკანასკნელი წარმოდგენებია.

დღევანდელ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებს ცნობილი ზანგი **რანნი**; მოდით და ნახეთ არა ჩვეულებრივი წარმოდგენა. იქნება აგრეთვე ორი ჭიდაობა: 1) კავკასიური: ახლად ჩამოსული ცნობილი ფალავანი **მიხაილოვი** დღეს დაეჭიდება უძლეველ ფალავანს **კოსტა მაისურაძეს**. გამარჯვებულს 50 მან. ჯილდო ერგება. ეს ჯილდო თვითონ მიხაილოვმა დანიშნა. 2) ფრანგული ჭიდაობა: დაიჭიდებიან მთელს ქვეყანაზე განთქმული **ჯონ—პოლ—აბსი** და რუსი ფალავანი **ბელიუკოვი**. გამარჯვებულს 200 მან. ჯილდო, რომელსაც თვითონ აბსი ნიშნავს. დაწვრილებით იხილე პოგრამებში. დასაწყისი საღამოს 8 $^1/_2$ საათზე. (1—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. ული. და კანისა 11 ს.—12-მდე.

ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. —11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათამდე.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12. საათ.

პრ. ვ. ხობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ვ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ვ. მ. მანსვეტოვ.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

დ'. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

გ. ვ. ხობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგ., ბავშვ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთადან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—2 საათ საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
(კანისა და ვენერიული)
დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—38)

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე
მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიმარმაკლიძისა.

ქუთაისში
ექიმი ს. ი. ბეგიშვილი
იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 88).
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 აპრილი

ვლადივოსტოკი. გენერალმა ლინევიჩმა ვლადივოსტოკში დაათვალიერა ჯარი და სიმაგრეები, კმაყოფილი დარჩა და ჯარს მადლობა გამოუცხადა.

ბერლინი. როგორც ბერლინიდან იუწყებიან, რუსებს რკინის გზა გაჰყავთ ტიან-შუიჯანამდე. 30 კილომეტრი უკვე მზად არის.

ხარკოვი. ბრძოლის ველზე წასული სკრიდლოვი არქიეპისკოპოსმა აკურთხა ყაზანის ღვთის მშობლის ხატით. ქალაქის მოურავმა მიართვა პურ-მარილი. შეწირულებათა შემკრებმა კომიტეტმა ადმირალს გადასცა შვიდი ათასი მანეთი მეზღვაურთათვის დასარიგებლად. როდესაც მატარებელი ტულისაკენ წავიდა, საერთო „ურა“ გაისმა. ხალხმა საერო ჰიმნი შეასრულა.

პორტ-არტური, 22 აპრილი, დილის 10 საათი და 10 წუთი (საკუთარის კორესპონდენტისაგან). 22 აპრილს დილიდან მტრის ესკადრა ლიაოტეშანს იქითა სდგას. ბიძივოში მივიდნენ ტრანსპორტები იაპონიის ჯარით, რომელიც ნაპირზე უნდა გადასხან.

დილის 11 საათზე ადმირალი ალექსეევი, უმაღლესის ბრძანებით, მომქმედ ჯარში წავიდა. თავისი შტაბი თან ახლავს. დროებით ესკადრის უფროსობა დაევალა ადმირალს ვიტგეფტს, ხოლო ფლაგ-კაპიტნობა—მეორე რანგის კაპიტანს ესსენს.

პორტ-არტურში სიწყნარეა. დიდი მთავარი ბორის ვლადიმირის ძეც წავიდა პორტ-არტურიდან.

ლონდონი. იაპონიის სესხის, 10 მილიონ გირვანქა სტერლინგის, გამოცემის საქმე მოეწყო. ამბობენ, 7 მილიონს გამოსცემენ ლონდონში და 3 მილიონს ნიუ-იორკში. სესხი 6 პროცენტიანია და გარდახდილ უნდა იქნას 7 წლის განმავლობაში. გამოცემულ სესხის კურსი 93$^1/_2$ უნდა იქნეს. სესხს უზრუნველჰყოფს იაპონიის საბაჟოების შემოსავალი. ამბობენ, ფული ინგლისში დარჩება იაპონიის ზოგიერთ სავალდებულო გადასახადების გასასტუმრებლადაო. საზღვარ-გარედ ირწმუნებიან, მეორე სესხის საქმე ომის გათავებამდის ვერ მოეწყობაო.

ვიქტორია. ბრიტანიის კოლუმბის ორთქლმავალი გემი „ექსპრესს ოფ ჩაინა“ გავიდა აქედან ზღვაში ფქვილით და 500 ფუთ ხორცის კონსერვით დატვირთული, რომელიც იოკოჰამაში მიაქვს იაპონელებისათვის.

ირკუტსკი. ყინულის მტეხელმა „ბაიკალმა“ გზა გასჭრა ყინულში და მივიდა ტანხოიში.

მოსკოვი. ერობათა სასანიტარო-სასურსათო რაზმების უფროსები დეპეშით იუწყებიან, რომ საჭიროა კონსერვები, ფქვილი, ფეხსაცმელი, ფუფაიკები, კარვები და ბარაკები. სამხედრო საეკონომო საზოგადოებას მანჯურიის არმიის სამხედრო შტაბის უფროსისაგან წინადადება მოუვიდა სურსათის საწყობების გამართვის შესახებ. ამ დღეებში სამი წარმომადგენელი ხარბინს მიდის, სადაც საზოგადოების უმთავრესი საწყობი მაისის შუა რიცხვებში გაიხსნება. მოსკოვიდან ჰგზავნიან იქ რამდენსამე ვაგონს საქონელს.

ტოკიო. მეორე არმიის მობილიზაცია ჯერ-ჯერობით არ დასრულებულა. ამავე დროს კი ამზადებენ გემებს მეორე არმიის მეხუთე დივიზიის გადასაყვანად; მათი დანიშნულება არ იციან. არმიის უმთავრესი გამგეობა და მთავარი შტაბი ჯერ-ჯერობით ისევ ტოკიოში არიან. 42 უცხოელ აფიცრის მესამედი უკვე სეულში წავიდა.

ბრემენი. იტყობინებიან, რომ „ჩრდილო-გერმანულ ლლოიდ“-ს არ მიუყიდნია 8 გემი იაპონიის მთავრობისათვის; მიუყიდნია მხოლოდ 3 გემი იაპონელთაგან შემდგარ კერძო ამხანაგობისათვისაო.

ტოკიო. 22 აპრილს, ღამე, სატრანსპორტო გემი, რომლითაც უცხოელი სამხედრო აგენტები იაპონელების ჯარში მიდიოდნენ, სიმონოსეკის ახლო კლდეს დაეჯახა და დაზიანდა. უცხოელ აგენტებს სხვა გემი წაიყვანს დანიშნულს ადგილას.

გენერალი კუროკი დეპეშით იტყობინება, რომ ბრძოლის ველის ბეჯითად დათვალიერების შემდეგ კვირას აღმოჩნდა კიდევ 200 მოკლული და დაჭრილი იმათ გარდა, რომელთა შესახებ წინად იყო გამოგზავნილი ცნობაო. კუროკი ჰფიქრობს, რომ ბრძოლის ველის დათვალიერების დამთავრების შემდეგ კიდევ აღმოჩნდებიან მოკლულნი და დაჭრილნი. კუროკი დასძენს, რომ დატყვევებულ რუსთა შორის აღმოჩნდა რუსი სამხედრო ექიმი, რომელსაც წინადადება მიეცა იაპონელ ექიმებთან ერთად მოუაროს დაჭრილ რუსთ და იაპონელთ. ექიმმა თანხმობა გამოაცხადა.

ჩიფუ. ჩინელი მენავეები იტყობინებიან, რომ იაპონიის სამხედრო ფლოტი, 40 სამხედრო და სატრანსპორტო გემებისაგან შემდგარი, სამშაბათს ვეიჰაივეის პირდაპირ გამოჩნდა; ფლოტი ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ მიდიოდაო.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „ნოვი კრაი“ იუწყება: 15 აპრილს, ღამით, იაპონიის ნაღმიანი გემები პორტ-არტურის გარე რეიდზე მოვიდნენ და ზარბაზნის სროლა ასტეხესო. იქნება იაპონელებმა იმ ღამესაც ნაღმები ჩააწყეს რეიდზე. („რ. ვ.“).

პორტ-არტურის ახლო მცხოვრებ ხალხს რუსის მოხელეებმა გამოუცხადეს, ან პორტ-არტურში გადმოდით საცხოვრებლად, ან იქით გადასახლდით სადმე, პორტ-არტურის გარშემო, 15 ვერსტის სიშორეზე ცხოვრება არ შეიძლებაო. („რ. ს.“).

„დეილი ქრონიკლ“-ი იუწყება, ვითომ პორტ-არტურსა და ნიუჩუანს შუა რკინის გზა დანგრეული იყოს და ამის გამო ამ ორ ქალაქ შუა მიმოსვლა შეწყვეტილ იყოს. („ნ.“).

„ნაციონალ ციიტუნგ“-ი იუწყება: იაპონიის ვერფებზე, ამ ომის დროს რამდენიმე პატარა კრეისერი და ნაღმიანი გემი ააშენესო. ამ ჟამად კიდევ შენდება კრეისერი „ოტავა“—3,300 ტონა წყალ-წყვისა და 5 ნაღმიანი გემი, 150 ტონა წყალ-წყვისა თითო. ამას გარდა კიდევ ორ კანონირ

გემს აშენებენ მდინარეებზე სასიარულოდ. იაპონიის პარლამენტმა შარშან დაადგინა, ახალი სამხედრო გემები ავაშენოთო: 2 ჯავშნიანი გემი, 3 ჯაშნიანი კრეისერი, 2 პატარა კრეისერი და ორი კანონირი გემიო. ჯავშნიან გემების აშენება კიდევაც შეუკვეთეს არმსტრონგისა და ვიკერსის ფირმას, მაგრამ ეს გემები წელიწადნახევარზე ადრე არ იქნება მზადაო. („ნ. ვ.“).

გერმანულ გაზეთებს შეუტყვიათ, ბალტიის ესკადრა რომ შორეულ-აღმ.ისავლეთს წავა, თან ექვს წყალ ქვეშ მავალ ნავსაც გაატანენო. ეს ნავები რუსეთშია აშენებულიო. („რ. ლ.“).

ცნობილ თავად მეშჩერსკის არა სჯარა, რომ რუსებს პორტ-არტურში წყალ-ქვეშ მავალი ნავები ჰქონდეთ. თავადი მეშჩერსკი სწერს თავის „გრაჟდანინ“-ში: „რუსეთის სააგენტომ“ უცნაური დეპეშა დაჰბეჭდა ამას-წინად: პორტ-არტურში წყალ-ქვეშ მავალი ნავები სცადეს და ამ გამოცდამ მშვენივრად ჩაიარაო. ყველამ წაიკითხა ეს დეპეშა და სთქვა: ეს კარგია, წყალ-ქვეშ მოსიარულე ნავები გვქონიაო.—„საიდან გაჩნდნენ ეს ნავებიო“, ჰკითხულობდა ზოგი—„ამერიკიდან მოიყვანესო“.—მცოდნე წრეებს ვკითხე და აღმოჩნდა, რომ პორტ-არტურში ჩვენ (რუსებს) არაფერი წყალ-ქვეშ მავალი ნავი არა გვქონია. ეს ცნობა ტყუილი გამოდგა, მაგრამ ის ცნობა-კი, რომ ქალაქ ხარბინში დიდი უსუფთაობა და ბინძურობააო, კი სწორე ცნობაა და მეტად დასაფიქრებელი ცნობაცაა. იქნება ხარბინში, სადაც ჩვენი ჯარის მთავარი ბინაა და ჩვენის სნეულ და დაჭრილ მეომრების უმთავრესი საავადმყოფოა, ყოველნაირი გადამდები სენიც გაჩნდეს. რაღა თქმა უნდა, რომ ხარბინის ასეთი სანიტარული მდგომარეობა დაჭრილთა მორჩენასაც ხელს შეუშლის“.

დაღუპულ სატრანსპორტო გემ „კენშიუ-მარუ“-ს თაობაზე იაპონიის მთავრობა, სხვათა შორის, აცხადებს: ეს გემი ჩრდილოეთისაკენ იყო წასული კორეის ნაპირების დასაზვერად და გენზანში დაბრუნების დროს, რუსის ესკადრა შეხვდაო. რაც მერე მოხდა, ხომ ვიცით კიდევაც. („მ. ვ.“).

საუბარი იაპონელ დიპლომატთან. „ბერლინელ ტაგებლატ“-ის კორესპონდენტს პარიზში კიდევ უსაუბრნია გამოჩენილ იაპონელ დიპლომატთან. დიპლომატს უთქვამს: „რუსები კორეიდან ველარ განდევნიან იაპონელებს და არა მგონია, რომ ზავის პირობა ტოკიოში დაგვაწერინონ. ვერ გამიგია, რა გემებით უნდა მივიდნენ რუსები ტოკიოს“.

— აკი ამბობენ, რუსეთი ბალტიის ფლოტსა ჰგზავნის შორეულ-აღმოსავლეთსაო.

— დიახ, ამბობენ, მაგრამ მე ეგ ცნობა არა მჯერა, იმიტომ სწორედ, რომ „ამბობენ“ და მაგ ესკადრის გაგზავნაზე ბევრს ლაპარაკობენ. იცით, რამდენ ქვა-ნახშირს შთანთქავს ბალტიის ესკადრა, სანამ აღმოსავლეთ აზიას მიაღწევს?

— როგორ გგონიათ, პორტ-არტურს აიღებენ იაპონელები?

— ზღვიდან პორტ-არტურის აღება შეუძლებელია, მაგრამ თუ ხმელეთიდანაც ალყას შემოარტყამენ, მაშინ პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარი დაიმშევა და ციხის აღება გაადვილდება.

— ჩინეთი რას იზამს? გაერევა ომში თუ არა?

— მტკიცედა ვარ დარწმუნებული, რომ ჩინეთი ომის გათავებამდე ნეიტრალიტეტს არ დაარღვევს. იაპონიას არ უნდა, რომ ჩინეთი ომში გაერიოს, რადგან მაშინ სხვა სახელმწიფოებიც გაერევიან საქმეში.

— რა აზრისა ხართ ვისიმე შუამავლობასა და რუსეთთან მორიგებაზე?

— ვერც-კი წარმომიდგენია, რა უნდა გაარიგოს შუამავალმა. თუ რუსები ყველა ჩვენს მოთხოვნილებას შეასრულებენ, რასაკვირველია, ჩვენ სიამოვნებით დავსთანხმდებით. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთი ეხლა აღარას დაგვითმობს. ამბობენ, რამწამს რუსეთი გაიმარჯვებს სადმე, სახელმწიფოები მაშინვე გაერევიან საქმეში და მორიგებაზე ლაპარაკს ჩამოაგდებენო. სანამ ან სულ მთლად არ დავმარცხდებით, ან არ გავიმარჯვებთ, მორიგებას არ დავსთანხმდებით. პატარ-პატარა, მცირე ბრძოლაში დამარცხება ჩვენ გულს ვერ გაგვიტეხს. სანამ ჩვენის გულის საწადელს არ შევისრულებთ და ჩვენი ჯარი და ფლოტი სულ მთლად არ განადგურდება, იარაღს არ დავყრით და ბრძოლაზე ხელს არ ავიღებთ. („რ. ს.“).

რუსეთისა და იაპონიის ფლოტი შორეულ-აღმოსავლეთში. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომელი ბ. ვ. მ. რუსეთისა და იაპონიის ფლოტს დიდ ოკეანეში ერთმანეთს ადარებს. ვ. მ. სწერს: „თუმცა ადმირალმა ტოგომ ვლადივოსტოკისაკენ ძლიერი ესკადრა გაგზავნა, იაპონელებს პორტ-არტურის ახლო, ყვითელ ზღვაშიაც პორტ-არტურის ესკადრაზე ვაცილებით ძლიერი ესკადრა დარჩათ. კვანტუნს ახლო ამ ჟამად ადმირალ ტოგოს, წვრილ გემებს გარდა, 8 საესკადრო ჯავშნიანი გემი და 5 პალუბა, ჯავშნიანი კრეისერი ჰყავს და 150 დიდი ზარბაზანი აქვს. ეს ზარბაზნები ერთბაშად 951 ფუთის წონა ყუმბარას ისვრიან.

რუსებს-კი პორტ-არტურის ესკადრაში 3 საესკადრო ჯავშნიანი გემი ჰყავთ, 4 კრეისერი, 4 კანონირი გემი, 1 ნაღმის მზიდველი გემი, 2 ნაღმიანი კრეისერი, 21 საესკადრო ნაღმიანი გემი, 7 პატარა ნაღმიანი ნავი (ცგრედ წოდებული დანუმრული ნავები) და 1 წყალ-ქვეშ მავალი ნავი, სულ 43 გემი და ნავი ჰყავთ. ამ ესკადრას კიდევა ჰყავს სხვა გემები (1 ტრანსპორტი, 1 თავისუფალ ფლოტის გემი, 1 საავადმყოფო გემი, 3 ძველი კრეისერი და სხვა), მაგრამ ეს გემები საბრძოლველად არ გამოდგებიან. საესკადრო ნაღმიან გემებში 3 გემი 12 და 26 თებერვალსა და 14 მარტს ბრძოლების დროს დაზიანდა და ეხლა დოკში კეთდება. 7 ჯავშნიან გემსა და კრეისერზე რუსებს 83 დიდი ზარბაზანი უწყვიათ. ეს ზარბაზნები ერთბაშად 440 ფუთს ყუმბარას ისვრიან. ამიტომ რაღა გასაკვირველია, რომ პორტ-არტურის ესკადრა 31 მარტის შემდეგ შიდა რეიდზე დადგა, და, როგორც ეტყობა, გარედ გამოსვლას აღარ აპირობს. ამას გარდა, რუსის მეზღვაურებმა პორტ-არტურის გარედ რეიდზე მცურავი ნაღმებიც ჩააწყვეს. მართალია რუსის ესკადრას კიდევ 3 საესკადრო ჯავშნიანი გემი ჰყავს და 2 კრეისერი, მაგრამ ეს გემები 27 იანვარსა, 1 თებერვალსა (იაპონიის ნაღმიან გემების იერიშის დროს) და 31 მარტს დაზიანდა და ეხლა ან დოკებში კეთდება, ან რიგს ელის. როდის იქნება მზად „რეტვიზან“-ი, „ცესარევიჩ“-ი და „პალადა“, ძნელი სათქმელია, მაგრამ უნდა ველოდდეთ, რომ ყველაზე ადრე „პალადა“-ს შეაკეთებენ, თუმცა „პალად“-ის შეკეთებაც მეტად გაძნელდება. ეხლა გამოირკვა, რომ „პალადა“ უფრო მეტად ყოფილა დაზიანებული, ვიდრე წინად გვეგონა. ამას წინად ადმირალ ბურგოენმა სთქვა, 26 იანვარს ღამით „პალადა“-ს არა თუ მარტო მანქანისა და ქვაბების განყოფილება გაუნგრიეს ნაღმით, ორთქლის ქვაბიც აუფეთქესო. ამიტომაცაა, რომ „პალადა“ დოკში ორის კვირის ნაცვლად ორ თვეზე მეტს დარჩა და რუსეთის საზღვაო შტაბის სიაში დღესაც დაზიანებულ გემებში ჩარიცხული. ჯავშნიან გემ „პობედა“-საც კარგი შეკეთება მოუნდება. „სავაჭრო-სატელეგრაფო სააგენტოს“ დეპეშამ გვაცნობა, 31 მარტს, როცა პორტ-არტურის ესკადრა ბრძოლის რიგზე დგებოდა, „პობედა“-ს მეზობელი გემი (გვგონია, „ნოვიკ“-ი) დაეჯახა და დააზიანაო. თუ „პობედა“-ს ამას გარდა ნაღმიც მოჰხვდა, როგორც ოფიციალური დეპეშა იუწყებოდა, მაშინ ამ გემს უფრო დიდი შეკეთება მოუნდება. ხუთივე დაზიანებული გემიც რომ შეაკეთონ, მაინც პორტ-არტურის ესკადრას 144 ზარბაზანი ექნება და ერთბაშად 811 ფუთ ყუმბარის გასროლა შეეძლება, ე. ი. 140 ფუთით, ან 15%-ით ნაკლები, ვიდრე ადმირალ ტოგოს 13 დიდ გემს შეუძლიან“.

იაპონელებს, როგორც ვიცით, ტოგოს ესკადრის გარდა, რამდენიმე ესკადრა კიდევ სხვა ჰყავთ: ერთი ძლიერი ესკადრა კამიმურას უფროსობით ამ ჟამად ვლადივოსტოკთანა დგას და ვლადივოსტოკის ესკადრას ჰდარაჯობს; ადმირალ ურიუს ესკადრა კორეის დასავლეთ ნაპირებთან დადის; ადმირალ ხასოის ესკადრა მდ. იალუს შესართავთან მოქმედებს. ადმირალ ხასოის ესკადრამ მდ. იალუზე გადასვლის დროს დიდი დახმარება გაუწია იაპონიის ჯარს. („რ. ვ.“).

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 23 აპრილს, **ხელმწიფე დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის** სახელწოდების დღეს, ალექსანდრე-ნეველის სამხედრო საკრებულო ტაძარში, საქართველოს ექსარხოსის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ალექსის მიერ, გარდახდილ იქმნა სადღესასწაულო წირვა და პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა უფროსნი, წოდებათა, ქალაქის და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი და მრავალი მლოცველი.

იმავე დღეს წირვა და პარაკლისი გადახდილ იქმნა მართლმადიდებელთა სხვა ეკლესიებში, კათოლიკეთა, სომეხ-გრიგორიანთა და პროტესტანტთა სხვა ტაძრებში, ებრაელთა თორებსა და მაჰმადიანთა მეჩითებში.

დღისით ქალაქი მორთული იყო ბაირაღებით, ხოლო საღამოს გაჩირაღდნებული.

სამხედრო საკრებულო ტაძარში პარაკლისის დასრულების შემდეგ არსენალის მთიდან 21-ჯერ გაისროლეს ზარბაზანი.

ფელეტონი

ინტელიგენცია

როგორც წინედ ავხსენით და დავასაბუთეთ, ინტელიგენცია, ვითარცა გონებრივ შრომის პროფესიის წარმომადგენელთა ჯგუფი, არ შეადგენს განსაზღვრულ საზოგადოებრივ კლასს და ერთფეროვან სოციალურ კატეგორიას. ინტელიგენტთა წრეში თავს იყრიან სხვა-და-სხვა წოდებათა და კლასთა წარმომადგენელნი, რომელთაც, როგორც თავისი ჩამომავლობით, ისე პრაქტიკულ პროფესიით, არ აქვთ არც მტკიცე საზოგადოებრივ კლასის ელფერი და არც ეკონომიურ ინტერესთა ერთობა და სოლიდარობა. მაშასადამე,—საზოგადოებრივის საზომით თუ შევხედავთ,—ინტელიგენციას არა აქვს ფიზიონომია და გარკვეული გამოხატულება.

ადვილი გასაგებია ამიტომ, რომ ამგვარ სხვა-და-სხვა ელემენტებისაგან შემდგარ ჯგუფს ვერ ექმნება, სოციალ-პოლიტიკურის მხრით, ერთნაირი იდეალი და მიმართულება. ინტელიგენციის წევრნი ამ მხრივ დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. აქ ნახავთ როგორც უკიდურეს მემარცხნეს, ისე მემარჯვენეს, ზომიერს და უზომო ზომიერსაც. ეს იმაზედაა დამოკიდებული, თუ ახალგაზრდობიდან ვის რა წრეში უცხოვრია და როგორი აზრები და საზოგადოებრივი შემეცნება შეუთვისებია. მოთხოვნა იმისა,—რომ ინტელიგენცია ერთ მიმართულებას უნდა ადგეს და ერთ იდეალს უნდა ემსახურებოდესო, შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც ამ ჯგუფის ხასიათი და შედგენილობა არ აქვს გარკვეული და შეგნებული. არ შეიძლება ერთფეროვნება და თანხმობა ვეძიოთ იქ, სადაც მომქმედ პირთა ცხოვრების პირობები და გარემოებანი არ ჰქმნიან ასეთ ერთობასა და სოლიდარობას.

მაგრამ ჩვენს ცხოვრებაში არის რამდენიმე ისეთი გარემოება, რომელიც უფრო მარცხნით ეწევა ჩვენი ინტელიგენციის მიმართულებას და ამით მეტ ერთფეროვნებას აძლევს მის სოციალ-პოლიტიკურ მისწრაფებას. ქართველ ინტელიგენციის უმრავლესობა შესდგება მცირე შეძლების ხალხის შვილებისაგან; მაშასადამე, ჩამომავლობით იგი წარმომადგენელია არა ქონების, არამედ უქონლობის და სიღარიბისა. იმავე ინტელიგენციის უმრავლესობა თავის ძალ-ღონეს ჰყიდის და ცხოვრებაში თავს ირჩენს ან სახელმწიფო სამსახურით და ან კერძო დაწესებულებებში მუშაობით. მაგრამ ყველამ ვიცით, რომ, რაც დრო მიდის, სახელმწიფო სამსახურში ქართველს მეტი დაბრკოლება ჰხვდება და თან და თან აქ ქართველების რიცხვი მცირდება. მეორე მხრით, რაც სავაჭრო თუ სამრეწველო დაწესებულებებია ჩვენში, უმთავრესად უცხო ხალხს ეკუთვნის, რომელიც ახლოსაც არ იკარებს ქართველ ინტელიგენციას. ამიტომ ჩვენ ხშირი მოწმე ვართ ამგვარ უცნაურ მოვლენისა: ჩვენში, სადაც ვაჭრობა-მრეწველობა ჯერ კიდევ შესაქმნელია, კულტურული ცხოვრება ასაღორძინებელი და განსავითარებელია, მაშასადამე, ცოტად თუ ბევრად ნასწავლი და მცოდნე ხალხი თავის თავად საჭირო და გამოსადეგია, ქართველი ინტელიგენცია ადგილს ვერ შოულობს და უსაქმოდ დაიარება. და ცუდაობა ხელმოკლე ინტელიგენტისათვის ბევრად უფრო მწვავე და ძნელი ასატანია, ვიდრე, მაგალითად, ფიზიკურად მშრომელ პროლეტარისათვის. ეს თავიდანვე შეჩვეულია გაჭირვებას; მისი სხეული ავად თუ კარგად შეგუებულია არსებობის ცუდ პირობებთან; გაჭირვებაში მას აქვს მეტი სიმტკიცე და ენერგიაც. ინტელიგენტი-კი ყველა ამას მოკლებულია. მისი კულტურული მოთხოვნილებები მრავალია, სხეული—სუსტი და ნერვები მოშვებული. იგი უფრო გრძნობს და მძიმედ იტანს გაჭირვებას, რომელიც წარმოსდგება უალაგობისა და ცუდაობისაგან. ცხადია, ამგვარ გარემოებაში მყოფი კაცი იშვიათად იქნება მიმართულებით კონსერვატორი და არისტოკრატი. სიტყვა კონსერვატორი ნიშნავს „შემნახველს“, არსებულის დამცველს. მას-კი „შესანახი“ და „დასაცავი“ არაფერი აქვს, გარდა მშიერ მუცლისა და გახუნებულ სერთუკისა. იგი ძალა-უნებურად ეწევა დემოკრატიულ ცხოვრებას და ამიტომ არა იშვიათად იძულებული ჰხდება იდეურ მიმართულებითაც მიემხროს დემოკრატიას. გარდა ამისა, ინტელიგენტი თავისი ხელობით ისეთ ასპარეზს ადგას, რომ ხალხში გამოსაჩენად და თავის ცხოვრების წარსამართავად საჭიროებს მოქალაქობრივობის განვითარებას და ადამიანურ თავისუფლების აღიარებას. ინტელიგენტი კალმისა და სიტყვის კაცია. მას ეს ორი საქმე ემარჯვება: ლაპარაკი და წერა. და რასაკვირველია, ნიჭიც რომ ჰქონდეს, ინტელიგენტს თავის გამოჩენა და თავის თავზე საზოგადოების ყურადღების მიქცევა გაუჭირდება იქ, სადაც სიმუნჯე სათნოებად ითვლება, ერთად თავის მოყრა და მსჯელობის გამართვა დანაშაულად ირიცხება, ხოლო წერა და მწერლობა—ეს ჩვენ, ჟურნალისტებს, გვკითხეთ!—ისეთი უკუღმართი, დამცირებული და საჭაპანწყვეტო ხელობაა, რომ ავტორის მაგიერ უსულო ნაწერსაც კი სცხვენია და ამ სირცხვილისაგან გარდუვალი წითელი ფერი ედება. ინტელიგენცია ძალა-უნებურად უნდა იყოს მომხრე ისეთი წეს-წყობილებისა, რომელიც ეხმარება გონება-ზნეობის ბატონყმურ მონობისაგან განთავისუფლებას, ადამიანის ღირსების ცნობას და ხელშეუხებლად აღიარებს... ასეთი წეს-წყობილება უფართოებს ინტელიგენციას სამოქმედო ასპარეზს და უადვილებს ნაყოფიერ საქმიანობას.

Kurz und gut,—ჩვენი საზოგადო ცხოვრება ხელს უწყობს, რომ ქართველ ინტელიგენციაში განვითარდეს უფრო „ხალხთან“ (demos) დაახლოვებული და დაკავშირებული მიმართულება. მარცხნით, ხალხისკენ! აი, რას ჩასძახის ყურში ინტელიგენციას როგორც თავისი საკუთარი მდგომარეობა, ისე ჩვენი საერთო საზოგადოებრივი ვითარება. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს მიმართულებისა და იდეალურ მისწრაფების მხრით ინტელიგენციის გაერთიანებას და გაერთფეროვნებას. ეს არის მხოლოდ ტენდენცია, რომელსაც აქვს თავისი აზრი და განსაზღვრული მნიშვნელობა, მაგრამ იმდენი კი არა, რასაკვირველია, რომ სრულიად მოსპოს კონტრასტი და სხვა-და-სხვაობა. იდეალისა და მიმართულების სხვა და სხვაობა არსებობს ყველა ხალხში და ასევე უნდა არსებობდეს იგი ჩვენს ინტელიგენციაშიაც. ეს არც სათაკილოა და არც საძრახისია.

და ჩვენც ამ მხრით სრულიად არ ვძრახავთ ქართველ ინტელიგენციას. ყველას თავისებური აღზრდა და განვითარება აქვს მიღებული, და აზრების სხვა და სხვაობასთან ადგილი აქვს მხოლოდ მსჯელობას და კამათს და არა კილვას და ძრახვას. ჩვენ სულ სხვა რამეში ვდებთ ბრალს და ვგმობთ ჩვენს ინტელიგენციას: ეს არის მისი ლუარსაბისებური უენერგიობა და უსაქმურობა.

ზოგიერთ მყვირალა ინტელიგენტს დიდი წარმოდგენა აქვს თავის თავზე და ხშირად გაიძახის, რომ ინტელიგენცია, თუ მოინდომებს, ყველაფერს შესძლებს,—ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას განავითარებს, სოციალურ ურთიერთობაში ღრმა ცვლილებას მოახდენს, საზოგადოებას განაახლებს, ცხოვრების მიმდინარეობას მისგან სასურველ მსვლელობას მისცემს და სხვ. ყველა ეს ფრაზებია და ნამდვილად ინტელიგენცია ვერც ერთ ამას ვერ შესძლებს. ცხოვრება სკოლის შეგირდი არ

◆ **სამრევლო სკოლების** საეპარქიო ზედამხედველების კრებამ, რომელიც, როგორც ვწერდით, ერთ კვირას გასტანს, სხვათა შორის, უნდა განიხილოს ოლქის ზედამხედველის მოხსენება სკოლებში მუნჯურის მეთოდის შემოღების შესახებ.

◆ ამ რამდენისამე ხნის წინად საქართველოს საეპარქიო სამრევლო სკოლების საოლქო საბჭომ განიხილა მოხსენება საეკლესიო სკოლების ოლქის ზედამხედველისა იმის შესახებ, რომ სამრევლო სკოლებში რუსულის ენისა და სამღვთო სჯულის სწავლება მოეწყოს **მუნჯურის მეთოდის** მოხებით, ისე როგორც სამეგრელოს სამრევლო საეკლესიო სკოლებშია. საბჭოში ამ წინადადებას წინააღუდგა ორი-სამი წევრი, რომელნიც ამტკიცებდნენ სრულს უვარგისობას ამ მეთოდისას. ბოლოს საბჭომ დაადგინა, ამოარჩიოს განსაკუთრებული კომისია და იმას მიანდოს ამ საკითხის ყოველმხრივ შემუშავება.

◆ გუშინ უკვე ვწერდით იმ პროექტის შესახებ, რომელიც სოფლად **ამიერ-კავკასიაში მკურნალობის საქმის** მოწყობას შეეხება. ახალის პროექტით, მთელს ამიერ-კავკასიაში ხაზინის ხარჯით უნდა იყოს 112 სოფლის სამკურნალო და 116 საფერშლო პუნქტი. ექიმი იმდენი იქნება, რამდენიც სამკურნალოა. კერძოდ ტფილისის გუბერნიაში იქნება 18 სამკურნალო და ამდენივე ექიმი, ქუთაისისაში—14, ბათუმისაში—4, ჩერნომორისაში—3, ზაქათალის ოლქში—3, სოხუმისაში—2, ბაქოს გუბერნიაში—12, განჯისაში—16, ერევნისაში—14, ყარსისაში—8, დაღესტნისაში—18. უფროსი ფერშალი იქნება: ტფილისის გუბერნიაში—36, ქუთაისისაში—28, ჩერნომორისაში—10, ბათუმის ოლქში—8, სოხუმისაში—4, ზაქათალისაში—4, განჯის გუბერნიაში—32, ერევნისაში—28, ბაქოსაში—24, ყარსის ოლქში—16, დაღესტნისაში—36. უმცროსი ფერშალი და ბებია ქალი თითოეულ გუბერნიაში იმდენივე იქნება, რამდენიც ექიმი. ექიმს ჯამაგირი ექნება წელიწადში 1400 მანეთი, უფროს ფერშალს და ბებია ქალს თითოს 420 მან., უმცროს ფერშალს—360 მან. ამას გარდა ყველას სადგომი მიეცემა ან შესაფერი ფული.

◆ ტფილისის გუბერნიაში **კერძო მესაკუთრეთა ტყე** ყოფილა 610,272 დესეტინა. აქედან საუფლისწულო უწყებას ეკუთვნის 31,332 დეს., დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს—52,825 დეს.

◆ ქუთაისის **მაზრის უფროსის** თანაშემწე შლოტგაუფი დაინიშნა რაჭის მაზრის უფროსად, ხოლო რაჭის მაზრის უფროსი თავ. ლეონიძე—შორაპნის მაზრის უფროსად.

◆ საქციზო გადასახადთა პირველ ოლქის უფროსმა აცნობა ტფილისის პოლიცმეისტერს, რომ ვაჭრებს ნება არა აქვთ **მაგარ სასმელების დუქნები** სარდაფებში გამართონო. სარდაფებში აკრძალულია არაყითა, სპირტითა და სხვა ამ გვარ სასმელებით ვაჭრობა. ამის გამო პოლიცმეისტერმა დაავალა ბოქაულებს, შეამოწმონ ერთის თვის განმავლობაში მაგარ სასმელების დუქნები და დაკეტონ ყველა ის, რომელიც სარდაფში აღმოჩნდება.

◆ ტფილისისა, თიანეთისა და დუშეთის მაზრის **მეცხვარეები**, რომელთაც ზაფხულობით საძოვრად ცხვარი მიუდისთ თრიალეთის მთებისაკენ, ტფილისზე გავლის დროს ცხვარს ერეკებოდნენ მნაცაკანოვის ხიდით, რისთვისაც ქალაქი კარგა ბლომა ფულს იღებდა. ამ გადასახადებისაგან მეცხვარეები ეხლა განთავისუფლდნენ, რადგან ამიერ-კავკასიის რკინის გზამ სოღანლუღის ხიდი ისე მოაწყო, რომ ამ ხიდით საქონლის გაყვანა შეიძლება; ამასთან უფასოდ.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა სთხოვა საგუბერნიო საამშენებლო განყოფილებას, ტეხნიკოსთა კომისიამ დაათვალიეროს და შეამოწმოს ძმ. თამამშოვების ქარვასლაო.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ნება დართოს სასანიტარო ინსპექტორს, საჭიროების დროს მიიწვიოს ხოლმე სხვა ექიმი და გასამრჯელოდ თითოჯერ ექიმს მიეცეს სამ-სამი მანეთი.

◆ 22 აპრილს, ვანქის ვიწრო ქუჩაზე, საიპოვის სახლის მესამე სართულიდან ძირს გადმოვარდა 3 წლის ყმაწვილი და იქვე მოჰკვდა.

◆ ამას წინად ვწერდით, რომ ტფილისის რეალურ სასწავლებლის მე-6 კლასის მოწაფე ა. წითლანაძე, უგზო უკვლოთ დაიკარგა. როგორც გავიგეთ, იგი უპოვნიათ ამ დღეებში. მოწაფეს სხვა ამხანაგებთან ერთად მოუვლია თურმე ბათუმი, ბაქო, ყარსი, ერევანი, ათონის მთა, ოდესა, მოსკოვი, პეტერბურგი და ეხლა დაბრუნებულა შინ. გზაში ხარჯსა სწევდა ერთი მისი ამხანაგი, რომელსაც 300 მანეთამდის ჰქონია მოგროვილი.

◆ 22 აპრილს „გრანდ-ოტელის" სასტუმროს აივნიდან, რომელიც მტკვარს დაჰყურებს, უცაბედად გადავარდა მტკვარში 7 წლის ბალღი. მცურავებმა გამოიყვანეს და ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ დღეს, 24 აპრილს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ტფილისის მაზრის სოფელ საგარეჯოს მცხოვრებთა მარიამ გზირიშვილისა და ვასილ გოგნიაშვილისა, რომელთაც წინასწარ განზრახვით მარიამ გზირიშვილის ქმრის მოწამვლა ჰბრალდებათ.

ტფილისის ქალაქის საბჭო

22 აპრილი

მოურავის ავადმყოფობის გამო თავმჯდომარეობდა იმის მოადგილე თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი.

საბჭოს გასარჩევი ჰქონდა „ნაძალადევი"-ს 89 მცხოვრების სათხოვარი შესახებ იმისა, რომ იმათზე იჯარით გაცემული ქალაქის ადგილები ქალაქმა იმათ შეასყიდოს. ეს სათხოვარი ნაძალადეველთ ბ-ნ გუბერნატორისათვის მიეცათ და ამ უკანასკნელმაც ქალაქის გამგეობას გამოუგზავნა საბჭოსათვის მოსახსენებლად და გადასაწყვეტად.

თავმჯდომარემ ურჩია საბჭოს და საბჭომაც დაადგინა: ნაძალადეველთა სათხოვარი ჯერ იმ კომისიამ განიხილოს, რომელსაც დავალებული აქვს ქალაქის ადგილების თვალ-ყურის გდება, შეისწავლოს ეს საქმე დაწვრილებით საფინანსო კომისიასთან ერთად და მერე საბჭოს წარმოუდგინოსო.

ცეცხლისაგან დამზღვევ საურთიერთო საზოგადოების გამგეობამ ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვა წარმოუდგინა საბჭოს დასამტკიცებლად. ამ აღრიცხვით წელს 30 თუმნით მეტი უანგარიშნია დამზღვევ საზოგადოებას თვისი ხარჯები. ეს მეტი ფული საზოგადოების ბუხჰალტერის ბ-ნ ბარსამოვისათვის დაუნიშნავთ ჯამაგირის მისამატებლად. კამათის დროს გამოირკვა, რომ ამ რამდენისამე წლის განმავლობაში დამზღვევი საზოგადოება ხშირად უმატებს ჯამაგირს ბ-ნ ბარსამოვსაო; ამიტომ ბევრმა ხმოსანმა შესაძლებელად ვერ სცნო ეხლაც 30 თუმნის მომატება და ისევ ძველი ჯამაგირის დატოვებას ურჩევდნენ საბჭოს და საბჭოც დასთანხმდა რჩევას. ასე რომ 8.830 მანეთის მაგიერ დამზღვევ საზოგადოების ხარჯები 8.530 მანეთისა მიიღო საბჭომ.

ამავე საზოგადოების ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგად საბჭომ აირჩია ხმოსანი ა. ი. ვართანოვი, სარევიზიო კომისიის წევრად—ხმოსანი ს. დ. ლისიციანი.

შემდეგ საბჭომ ხორცზე ნიხრის გამწესებელ კომისიის მოხსენება დაამტკიცა იმ ნიხრის გამოცვლის შესახებ, რომელიც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან: 1-ლ ხარისხის გირვანქა ხორცის ფასად 12 კაპ. მიიღო, მე-2 ხარისხისა—11 კაპ., მე-3 ხარისხისა—8 კაპ.; სუკი გირვანქა 18 კაპ., ცხვრის ხორცი—12 კაპ. ამასთანავე კომისიამ სთხოვა გამგეობას, საჭიროა ყასპებისათვის თვალ-ყურის დევნა, რომ ხორცი ხარისხებადა და ნიხრის კვალობაზე სავალდებულოდ იყიდებოდესო.

ჯერ კიდევ ძველმა საბჭომ სავალდებულოდ გაჰხადა ქალაქის სახლების პატრონთათვის, რომ თავიანთ სახლებს ქუჩიდან პატარა ფიცრები აკრან, რომელზედაც უნდა აღნიშნული იყოს სახლის ნომერი. ეს დადგენილება გუბერნატორს არ დაუმტკიცებია და ისევ საბჭოსათვის დაუბრუნებია შესავსებლად—ნუმრების გარდა, ფიცრებზე, უბანი და ქუჩის სახელიც აღინიშნოსო. საბჭომ მიიღო ეს რჩევა.

ქუჩების მომკირწყვლელმა კომისიამ მოკირწყვლის საქმის მწარმოებლად მოიწვია შარშან წლის დამდეგს ინჟინერი პ. ლ. ალხაზოვი, რომელიც ამ ოთხი თვის წინად დამბლად ჩავარდა, მუშაობა სრულებით არ შეუძლია და ამიტომ სამსახურს თავი უნდა დაანებოს. კომისია სთხოვდა საბჭოს, ინჟენერ ალხაზოვს ფულით დახმარება აღმოუჩინოთ და სამსახურიდან გავანთავისუფლოთო. საბჭომ ორი თვის ჯამაგირით (500 მანეთი) დახმარება აღმოუჩინა ბ-ნ ალხაზოვს და სამსახურიდანაც გაანთავისუფლა.

რუსეთის ქრონიკა

◆ ვარშავის ოფიციალურ გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი: 14 აპრილს, ნაშუადღევის 2 საათზე იარაღით წინააღმდეგობა გაუწიეს და მოჰკლეს სამსახურის ასრულების დროს ჟანდარმების კორპუსის როტმისტრი ვანნიჩუკი და ბოქაულის თანაშემწე შტაბს-კაპიტანი ორდანოვსკი. მათს მხლებელ პოლიციელთაგან სამი კაცია დაჭრილი. მკვლელები შეიპყრეს.

ვარშავის ქუჩებში გაკრულია სავალდებულო დადგენილება, რომლითაც აკრძალულია კრებები და ხალხის ჯრილობა ქუჩებსა და მოედნებზე.

◆ ქ. დვინსკის პოლიცმეისტერმა შემდეგი ბრძანება გამოსცა: რამდენიმე შემთხვევა მოხდა ამ ბოლო დროს პოლიციელებზე თავდასხმისა და გამოირკვა, რომ ზოგიერთ პოლიციელთ არ სცოდნიათ თავის დაცვის წესები: თავდასხმის დროს არ უსტვენენ და არ უძახიან საშველად სხვა პოლიციელებს. მივაქცევ ამ გარემოებას ბოქაულთა ყურადღებას და ვუბრძანებ: გააცნონ ყველა პოლიციელთ თავის დაცვის წესები, წესები იარაღის ხმარების შესახებ და დურიგონ გატენილი რევოლვერები.

◆ მოსკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე ეგზამენები დაიწყო. სხვათა შორის, 6 ქალი იჭერს ეგზამენს, რომელთაც საზღვარგარეთ დაუსრულებიათ კურსი. ამათ რიცხვში ერთი სომხის ქალია.

◆ უწმინდ. სინოდი დაეკითხა ეპარქიებს: გვაცნობეთ, არიან თუ არა სამღვდელო პირთა შორის შორეულ აღმოსავლეთში წასვლის მსურველნიო. ყოველ ეპარქიიდან ერთი ან ორი მღვდელი გაიგზავნება. გაგზავნილთ ჯამაგირს 200 მან. მოუმატებენ და გზის ფულს 300 მან. მისცემენო.

◆ კიევიდან დეპეშით იუწყებიან: ვაჭრობა შემცირდა, გაკოტრდა რამდენიმე მეორე ხარისხის ფირმა. კონკურსებია დაწესებული. ყველა ქესატობას სჩივის.

რის, რომ ინტელიგენტის ბრძანებას ემორჩილებოდეს.

მაგრამ ეს კიდევ იმას არ მოასწავებს, რომ ინტელიგენციას არაფერი შეეძლოს, თუ კი დაიწყებს საქმიანობას და მუშაობას. იმ კაცს, რომელიც 15—20 წელიწადს სულ სწავლობს, შედარებით თვალსაჩინო სწავლა და ცოდნა აქვს შეძენილი. ინტელიგენციას შეუძლია ჩვენს ხალხში შეიტანოს თვითცნობიერება და რამდენადმე გაავრცელოს ცოდნა და გონებრივი კულტურა. მხოლოდ ამისთვის საჭიროა არა მარტო ფრაზებიანი ცარიელი „მიმართულება", არამედ საქმიანი და ენერგიული მუშაობა.

და ჩვენი უბედურობაც ის არის, რომ ქართველ ინტელიგენციას არ ემჩნევა პრაქტიკული გარჯა და საქმიანობა. თითოეული ქართველი ინტელიგენტი რომ თავის „მიმართულების" თანახმად მოქმედობდეს, დღეს ეს მდარე და დამყაყებული არ იქნებოდა ჩვენი კულტურული ყოფა-მდგომარეობა. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ჩვენ მხოლოდ სეირნობის დროს ან გემრიელ სადილის შემდეგ გაგვახსენდება—და ისიც ცარიელ სიტყვებით—„მიმართულება". გაიმართება დაუსრულებელი სიტყვების ტკაცა-ტკუცი და ცხარე კამათობა. თითოეული მოკამათე ყალყზე დგება, სისხლი ყელში აწვება, მუშტებს იქნევს, თვალებს აბრიალებს და მედიდურად გაიძახის: „ესაა ჩემი აზრი, დიახ, ესაა ჩემი მიმართულება". და განსაკუთრებულ ხაზს უსვამს ამ უკანასკნელ სიტყვას—„მიმართულება". აბა ჰკითხეთ ასეთ ტრაბახას: აკეთებს ცხოვრებაში და ავრცელებს თუ არა საზოგადოებაში ამ მის მიერ ამორჩეულ „მიმართულებას". მჭევრმეტყველი ხელად შეკრთება და დაბალის ხმით თავის გასამართლებლად სხვა-და-სხვა „დამაბრკოლებელ" მიზეზების აღნუსხვას მოგიყვება.

დიახ, ჩვენი **სუსტი** მხარეა არა საერთო მიმართულების უქონლობა, არამედ პრაქტიკული უსაქმურობა და უმუშიერობა. თუნდა „ჩინური მიმართულებისა" იყოს ესა თუ ის მყვირალა ინტელიგენტი, ოღონდ თავის აზრ-შეხედულების თანახმად მუშაობა იწყოს და საქმე გააკეთოს. აზრის სხვა-და-სხვაობა საზოგადოებაში გამოიწვევს მეტ გონებრივ სიფხიზლეს და მოძრაობას და შეგვიმცირებს ქართულ მძინარობას. სამწუხაროდ, ქართველ ინტელიგენტის „მიმართულება" მარტო სიტყვების მიმართულებაა, რომელსაც სრულებით არ ახლავს პრაქტიკული გარჯა და რეალური მოღვაწეობა.

მაგალითები გნებავთ? ეს ზედმეტია,—თითქმის მთელი ჩვენი ინტელიგენცია ამგვარ მაგალითების შემცველია. აი თუნდა ეს ერთი მაგალითი სხვა ათასთაგან. ამას წინედ ერთი ინტელიგენტი შემხვდა, რომელიც „მიმართულებით"—ჩვენ ხომ ყველას „მიმართულება" გვაქვს!—„ნაციონალისტია". წინედ, როცა გულუბრყვილო ვიყავი, მეგონა, რომ ნაციონალისტი, სხვათა შორის, თავის დედაენას უნდა იცავდეს და იფარავდეს. როგორც ბევრ სხვა მოლოდინში, ამაშიაც შემცდარი და მოტყუებული გამოვდექი. იმ პატივცემულმა ინტელიგენტმა, რომელსაც ლიტერატორადაც მოაქვს თავი, განგებ გამაჩერა და, თუმცა მე არც ინსპექტორი ვარ და არც მასწავლებელი, შემდეგი საჩივრით მომმართა ერთ-ერთ გიმნაზიის წეს-წყობილებაზე:

—წარმოიდგინე,—მეუბნება ის,—გიმნაზიაში დიდის წვალებით შემოვაღებინეთ ქართული ენის სწავლება და ეხლა ეს მევე გამიხდა საწვალებლად. იქ ჩემი ქალიც სწავლობს (მეოთხე თუ მეხუთე კლასშიო,—კარგად აღარ მახსოვს). წარმოიდგინე, მასწავლებელს „დედა-ენიდან" ხელად ლექსების დაზეპირება დაუწყებინებია. აბა როგორ შეუძლია ბავშვს ლექსების სწავლა, როცა **ჯერ კიდევ კითხვა არ უსწავლია?**

რას იტყვით ამ ლიტერატორზე, ისიც „ნაციონალისტ" ლიტერატორზე, რომელსაც გიმნაზიის მეექვსე კლასამდის არ მოჰგონებია, რომ თავის შვილისთვის ქართული წერა-კითხვა ესწავლებინა? განა ის სხვას რამეს ასწავლის და შეიტანს ხალხში რაიმე თვითცნობიერებას, როცა ეს თვით-ცნობიერება მას თავის ღვიძლ შვილისთვის ვერ ჩაუნერგია?

და რამდენია ჩვენში ამ ინტელიგენტის მსგავსი ქართველები. მეორე ინტელიგენტი ვიცი,—ისიც ლიტერატორი და „ნაციონალისტი",—რომლის შვილებმა ერთი სიტყვა ქართული,—არც წერა არც კითხვა—არ იციან. მესამე დიდი მჭევრმეტყველი ინტელიგენტი ვიცი. ეს არის ნახევრად ლიტერატორი და ნახევრად „ნაციონალისტი",—მეორე ნახევარი რისაგან შესდგება, არ მაქვს კარგად გამორკვეული. მას სახლში თავის შვილებისათვის გუვერნიორები ჰყავს დაქირავებული, რომლებიც რუსულსა და ფრანგულს ასწავლიან; ხოლო ქართული ენა ამ „განათლებულ" მამას სრულებით არ გახსენებია. არც ერთმა მისმა შვილმა არ იცის ქართულად არც ლაპარაკი და არც წერა-კითხვა. და იცით, ვინ არის ეს შვილების სამაგალითო „აღმზრდელი"? კაცი, რომელიც ყოველ საზოგადო შეკრებულებაში ქართულ ენისთვის ჯვარს ეცმის და გვლანძღავს ჩვენ, საცოდავ მეგაზეთეებს, რომლებიც თურმე დედა-ენის საჭიროებაზე ცოტას ვსწერთ და საზოგადოების გონებას არ ვაღვიძებთ. მე ვიცნობ მეოთხე ინტელიგენტს..

მაგრამ კმარა... უეჭველია, თქვენც, მკითხველო, ბევრს იცნობთ ამ გვარებს. ყველა ეს ხალხი „მიმართულების" პატრონია, მხოლოდ ისეთი მიმართულებისა, რომელიც არ ავალებს მათ საქმიანობას და პრინციპის თანახმად მოქმედებას. ქართველის „მიმართულება" კი არ ჰგავს ევროპიელებისას. იქ საქმეც იციან და ლაპარაკიც. ჩვენ-კი საქმე არ ვიცით, ვიცით მხოლოდ ლაპარაკი და ესეც ქუჩებში ან ბანკების საგამგეობო კაბინეტში...

სამწუხაროდ, ასე ცარიელ სიტყვების ტრფიალება და პრაქტიკული უსაქმურობა გვეჩნევა არა მარტო ჩვენ,—მოზრდილებს და ცხოვრებაში გამოსულებს, არამედ მოზარდ თაობას,—სასწავლებლებში მყოფ სტუდენტობასაც. როგორც პირადი დაკვირვებით, კერძო ლაპარაკით და წერილებით ვიცით, მათში საშინლად გავრცელებულა ბანქო, ალკოჰოლი და მჩატე გართობა. იშვიათია თურმე ისეთი სტუდენტი, რომელიც სერიოზულად მუშაობდეს და ჩვენი ცხოვრების საჭიროებათათვის შესაფერად ემზადებოდეს. და ეს გარემოება-კი მეტად და მეტად დამაფიქრებელია. სტუდენტობის დრო ის დროა, როცა ახალგაზდა იძენს იდეალურ გატაცებას და მისწრაფებას. მართალია, ცხოვრებაში ბევრი იმათგანი ხუნდება, მაგრამ რჩებიან ისეთებიც, რომლებსაც ახალგაზდობაში შეძენილი პრინციპები და იდეალები არ ავიწყდებათ. დაეკითხეთ იმ პირთ, რომლებიც ჩვენში ასე თუ ისე საზოგადო ასპარეზზე მუშაობენ, და გაიგებთ, რომ იმათ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს შეუძენიათ და შეუთვისებიათ საზოგადოებრივი ინსტიქტები და იდეალური მისწრაფება. ამიტომაც ეხლანდელ სტუდენტობის დაქვეითება ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომ ღირსია როგორც პრესსის, ისე საზოგადოების მხრით განსაკუთრებულის ინტერესის და ყურადღებისა.

ამის გამო ჩვენ ერთხელ კიდევ დავუბრუნდებით ამ საგანს და ცალკე წერილში გავარკვევთ სტუდენტობის ეხლანდელ ვითარებას და მის საზოგადოებრივ როლსა და დანიშნულებას.

ფ. გოგიჩაიშვილი

თეატრი

გუშინ-წინ, 22 აპრილს, საარტისტო საზოგადოების თეატრში, ქართულ სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს ა. სუმბათაშვილის „ღალატი". თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო საზოგადოებით, რომელიც დიდის ინტერესით ელოდა, როგორ წარმოადგენდნენ არა არტისტები ცნობილს დრამას. წარმოდგენამ, მართალი უნდა ვთქვათ, დააკმაყოფილა საზოგადოება: სცენის მოყვარულებმა მეტი მოგვცეს, მეტი გვასიამოვნეს, ვიდრე მათ მოეთხოვებათ. როლების მშვენიერი ცოდნა, მოფიქრებული და მოხერხებული თამაში, საჭირო ანსამბლის დაცვა ამტკიცებდნენ, რომ მოთამაშენი დარბაისლურად და დინჯად მოჰკიდებიან საქმეს და დამზადებულან.

ცალკე მოთამაშეებიდან უნდა აღვნიშნოთ: ბ-ნი ილია ზურაბიშვილი, რომელმაც კარგად აასრულა ოთარ-ბეგის როლი; ხმა, მიხვრა-მოხვრა შესაფერი ჰქონდა, გრძნობა-ტემპერამენტიც გამოიჩინა; ვუსაყვედურებთ გრიმს: მეტად ახალგაზდა ოთარი იყო და თანაც მოხუცებულობის სიდინჯეც აკლდა. ქ-ნ რომანიშვილს რომ უფრო მძლავრი და მოქნილი ხმა ჰქონდეს და მიხვრა-მოხვრა უფრო გაბედულ-მეფური, კარგი ზეინაბი იქმნებოდა; ყოველ შემთხვევაში ჩვენს სცენაზე ამ როლის აღმსრულებელთ არ ჩამოუვარდებოდა. არა უშავდა-რა ბ-ნ ყანჩელს (სულეიმანი) და ბ. ლეხურელს (ანანია). ქ-ნ თარხან-მოურავი კარგი რუქაია იყო; როლის საუცხოოდ ცოდნა და მშვენიერი გარეგნობაც ხელს უწყობდნენ ახალგაზდა მოყვარულს. მოხდენილად აასრულა თავისი პატარა როლი ქ-ნმა კუმსიშვილმა (გაიანე) და მშვენიერი ისახარი იყო ქ-ნი ლომაურისა. დანარჩენები სუსტობდნენ, მეტადრე ბ-ნი მგალობლიშვილი, რომელსაც სრულიად არ გამოუჩენია ბესოს იუმორი და დინჯ თავადიშვილს უფრო ჰგავდა, ვიდრე ხუმარა და მოხერხებულ მოურავს. საბა-ბერი, დათო და ერეკლე კოჭლობდნენ; ამათში მხოლოდ ბ-ნი ხურვალელი (ერეკლე) არ აფუჭებდა საერთო ანსამბლს, რომელიც, ვიმეორებთ, სრულიადაც არ იყო ურიგო.

წერილები

წესი (რაჭა). ამ რამდენისამე წლის წინად რაჭაში მსახურებდა მომრიგებელ შუამავლად თავ. ი. ნაკაშიძე. ამან პირველმა მიაქცია ყურადღება ქვემო-რაჭველთა გაჭირვებულ მდგომარეობას და განიზრახა ს. წესში ფოსტის განყოფილების დაარსება. განყოფილების შენახვა სამი წლის განმავლობაში უნდა თავს ედვათ ქვემო რაჭის მკვიდრთ წოდების განურჩევლად. ასე რომ თავად-აზნაურთა და სამღვდელოებას უნდა გამოეღოთ რამდენიმე ასი მანეთი პირველად საქმის დაწყებისათვის, ხოლო გლეხებს უნდა ეძლიათ სამის წლის განმავლობაში ფოსტის მოხელეთათვის საჭირო შეშა და ნავთი, აგრეთვე სახლის ქირა. როგორც გამოანგარიშებული იყო, თითო გლეხს წელიწადში ხუთი შაური თუ გადახდებოდა ამ საქმისათვის. სამის წლის შემდეგ, თუ მთავრობა ზარალს არ ნახავდა ფოსტის განყოფილების შენახვით, ყოველ ხარჯს თითონ კისრულობდა. ამ პირობით უნდა დაარსებულიყო წესში ფოსტის განყოფილება. ამისათვის საჭირო იყო ყოველ საზოგადოების განაჩენი. ყოველ საზოგადოებაში მივიდა თავ. ნაკაშიძე და აუხსნა ხალხს ყველაფერი. მეტმა წილმა დაამზადა განაჩენები და წარუდგინა მას. არ ინება განაჩენის დადგენა ორი-სამი კაცის ჩაგონებით მხოლოდ ერთმა საზოგადოებამ. ასე დარჩა საქმე გაუკეთებელი. გადაიყვანეს ნაკაშიძეც რაჭიდან და მიყრუვდა საქმე. საბედნიეროდ, წელს ამ საქმეს ხელახლა აღმოუჩნდა მზრუნველი, ა. კვიტაშვილი. ბ-ნი კვიტაშვილი წელს რაჭაში გადმოიყვანეს ბოქაულად. მოვიდა თუ არა, განაჩენები დაამზადებინა, ფული შეჰკრიბა და წარუდგინა მთავრობას. ეხლა, იმედია, მალე ს. წესში ფოსტის განყოფილება დაარსდება.

სოფ. წესში ხშირად მოდიან ხოლმე იმერეთის სოფლებიდან გლეხები და კითხულობენ: აქ ვიღაც გლეხს მგლის არაყი ჰქონია და იმ ექიმის სახლი გვასწავლეთო. ასეთი უცნაური ექიმი თურმე მართლა ყოფილა ამ სოფელში გლეხი ნინია მაისაშვილი (ნინია ეხლა გარდაცვლილია და იმისი შვილი მისდევს ამ ხელობას). გლეხებს გამოვკითხე ამ ნინია მაისაშვილის შესახებ და აი, რა მიამბეს. საკვირველი კაცი იყო მაისაშვილიო: შეუძლებელი იყო მის მიერ დაგებულ ხაფანგში მგელი ან მელა არ გაბმულიყო. „იმისთანა ლოცვა იცოდა, რომ ხაფანგს ვერა ნადირი ვერ ასცდებოდა. მგელს რომ დაიჭერდა, დასჭრიდა ასო-ასო, ჩაჰყრიდა ქვაბში, დაასხამდა ღვინოს, ჩაუმატებდა თაფლიან სარაჯს, დასდგამდა ასე შეზავებულ ქვაბს" და გამოხდიდა არაყსო. თითო პატარა ჭიქა არაყი თითო მანეთად ჰყიდდა. ასეთი არაყი ძალიან უხდებოდა ქარით ავადმყოფებსაო. ერთმა მოხუცმა მითხრა: ერთხელ მეც ვშველოდი ასეთ არყის გამოხდაში ნინიას და ერთი ჭიქა დამალევინა. სამი დღე და ღამე, ვიჯექი თუ ვმუშაობდი, სულ ოფლი შეუშრეტლად მდიოდა. ასეთი თვისება ჰქონდა ნინიას გამოხდილ მგლის არაყსაო. ნინია მოკვდა, მაგრამ იმისი სახელი ჯერ კიდევ არ დავიწყებულა. ხალხი კიდევ თხოულობს მგლის არაყს. ნინიას ხელობისათვის მიუმართავს მის შვილს, რომელიც დუქანში ჰყიდულობს არაყს და პატარა ჭიქას თურმე თითო მანეთად ჰყიდის.

ვ. ჭიჭინაძე.

—

სოფ. ხოვლე (ქართლი). გლეხობა ფხიზლობს, ყოველნაირ გონებით საზრდოს ეტანება, ერკვევა ამ დროინდელ ამოცანისაგან. რასაც ხელსა ჰკიდებს, კიდეც ამთავრებს, უკან აღარ იხევს. გაიღვიძა და კიდეც სარგებლობს ამ ღვიძლით. ეხლა იგი ყოველნაირს სასოფლო საქმეს აწონ-დაწონვით უყურებს, ერთობრივის თანხმობით ებრძვის ყოველ ნაირს დამაბრკოლებელს მიზეზებს სოფლის ცხოვრებისას. აქამდის თუ აინუნშიაც არ აგდებდა სკოლის ბედ-ბედს, ეხლა გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს თავის შვილების აღზრდა-განვითარებას. ასე გასინჯეთ, სამკითხველოს გამგესაც-კი სთხოვს ანგარიშს: რატომ ხეირიან წიგნებს არ აძლევ ჩემს ილკას, თედოს, ნუცას, პელოსო? მე რაღა გამოსაკლები ვარ სხვა ოჯახებიდანაო? მიხვდა ჩვენი „ტეტია"-ც, რომ ახალი ხანა დადგა. ხოვლეს სამკითხველო აქაურმა ინტელიგენტებმა დააარსეს, მაგრამ ეხლა სრულებით აღარა ზრუნავენ ამ სამკითხველოსათვის. სამკითხველო, ეს ერთად-ერთი კულტურული სამკაული სოფლისა, ამ ბოლო ხანს ზოგიერთების აბუჩად ასაგდები გახდა და მათის წყალობით თან-და-თან უკან იხევს. 899 წელს ხელის მომწერი იყო 220. გაიტანეს წიგნები სამკითხველოდან ამავე წელს 2540 ჯერ. რიცხვი ყოველ დღიურ მოსიარულეთა 676. 1900 წ.—1901 წ. სამკითხველოს ხელის მომწერი ჰყავდა 168 კაცი. ამ წლის შემოსავალი 6 მან. 10 კ., ხარჯი 21 მან. 15 კ. 1903 წელს წიგნთ-საცავს ხელის მომწერი ჰყავდა 122, ამათში იყო: კაცი 40, ქალი 82, დიდრონები (17 წლიდან) 26, მოზარდნი (8-17) 96, თავად-აზნაურნი და სამღვდელონი 20, ეროვნობით 118 ქართველი, სომეხი 4. საანგარიშო წელს გაიტანეს 830 წიგნი, ამათში ქართული 757 და რუსული 73. სამკითხველოს მოსდიოდა ჟურნალ-გაზეთები: „Сельское Хозяйство", „ჯეჯილი", „ივერია", „ცნობის ფურცელი", და „Новое Обозрѣніе". შემოსავალი იყო 56 მან., ხარჯი—19 მან. 10 კაპ. აქედან აშკარადა სჩანს, რომ სამკითხველოს ხელის მომწერთ ერთი-ორად უკლიათ, სახელდობრ წიგნები გაუტანიათ ერთი-ორად ნაკლები. წელსაც მოგვდიოდა გაზეთები კანტი-კუნტათ... მიზეზი სამკითხველოს თან-და-თანობითი დაქვეითებისა, როგორც მოგახსენეთ, წევრთა გულ-აცრუება.

შ. ჯავახიშვილი.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 აპრილი.

პეტერბურგი. 22 აპრილს შორეულ-აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობა არ მოსულა.

შანჰაი-გუანი (რეიტერის სააგ.). ჩინელების გაზეთებში გამოცხადებულ ცნობამ, ვითომ რუსები შანჰაი-გუანში ჯარის გაგზავნას აპირობენო, დიდი აღშფოთება გამოიწვია. ჩინელები მეციხოვნე ჯარებს აძლიერებენ.

სოფია (ოპოზიციის წრეებიდან). რუსების დაჭრილ ჯარის კაცების სასარგებლოდ სლავიანთა ქველმოქმედმა საზოგადოებამ შეაგროვა 40 ათასი ფრანკი. ქალთა კომიტეტმა შეაგროვა 70 ათასი ფრანკი; წითელ ჯვრის საზოგადოებამ—10 ათასი ფრანკი.

ბერლინი. ნიუ-ჩუანიდან ლონდონის გზით იუწყებიან, რომ ხუთშაბათს იაპონიის ესკადრა და 50 სატრანსპორტო გემი კინჩჟოუში გამოჩნდა. აქ ყოველ დღე თავდასხმას ელიან. რაც შეეხება ჯარის განაწილებას, გარდა პორტ-არტურისა, სადაც 16 ათასი კაცი დგას და დალნისა, სადაც 6 ათასი კაცი დგას, მუკდენის სამხრეთით იმყოფება სულ 120 ათასი კაცი. ამათგან ფინხუანჩენში დგას 12 ათასი ქვეითა ჯარის-კაცი, 8 ათასი ყაზახი და 6 ბატარეია. რკინის გზის სადგურ დაშიციაოსთან დგას 20 ათასი, ხაიჩენში—5 ათასი და მუკდენსა და ლიაოდუნს შუა 70 ათასი.

22 აპრილი.

სოფია (ოპოზიციის წრეებიდან). ჯერ არ დასრულებულა საბერძნეთ-ოსმალეთის მოლაპარაკება სმირნის ინციდენტის გამო. საბერძნეთის ელჩი თხოულობს, დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქნას პოლიციის კომისარი. ამას გარდა ვალი საბერძნეთის საელჩოში უნდა მივიდეს სავიზიტოდ. პორტამ გადასწყვიტა, გაჰგზავნოს რამდენიმე იურისტი საქმის ადგილობრივ გამოსაძიებლად.

რუმინიის მთავრობის მეცადინეობა მსოფლიო პატრიარქის წინაშე იმის შესახებ, რომ მაკედონია ცალკე სასულიერო საზოგადოებად იქნას ცნობილი, უნაყოფოდ რჩება. ოსმალეთის მოხელენი სჩივიან, რომ, ბოლგარიის მოხელეთა სიფხიზლის მიუხედავად, ზოგიერთმა შეამბოხე რაზმებმა მოახერხეს საზღვარს გადასვლა და მოქმედების განახლებაო. მაკედონიიდან მიღებულ ცნობებით, მცხოვრებნი ჯიორჯისისა და იმის თანაშემწეთა მოგზაურობის შემდეგ დამშვიდნენ.

ბერლინი. სენატმა დაადგინა, გადაიდოს 28 მილიონი ზარბაზნების სასყიდლად.

ტამბოვი. ტამბოვის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე იმ ყაჩაღებისა, რომელთაც მოჰკლეს ბორისოგლებსკში დარაჯი, გაძარცვეს ეკლესია და ყელი გამოსჭრეს სამ კაცს. ყაჩაღებს კატორღაში გაგზავნა მიესაჯათ.

სტამბოლი. ხონთქრის ირადეთი ებძანა ფინანსთა მინისტრს შეუთანხმდეს ოტომანის ბანკს, რათა ფინანსების მხრით მოეწყოს საქმე მაკედონიის ჟანდარმერიის შესახებ. ირადეს შინაარსს დღემდის პირადად ატყობინებენ ელჩებს, ახლა კი ისინი მოწერილობას ითხოვენ.

პარიზი. ლუბე იუწყება, რომ იტალიაში მოგზაურობა კეთილად დაგვირგვინდაო. მეფე, მთავრობა და ხალხი თანაგრძნობით დაუხვდნენ.

23 აპრილი.

სოფია, 23 აპრილს. (ოპოზიციის წრეებიდან). სტამბოლიდან იუწყებიან: პორტამ შეატყობინა ელჩებს ბიუჯეტი ევროპის ჟანდარმერიისათვის მაკედონიაში, რომელიც შეადგენს 250 ათას ოსმალურ ლირას. ეს ფული უზრუნველყოფილია ოტომანის ბანკისაგან. ყველაზე ძ საკითხის გადაწყვეტას, ესე იგი—გადასახლებულთა სამშობლოში დაბრუნებას აბრკოლებს ოსმალეთი, რომელსაც ჯერ განსაკუთრებული კომისიის წევრები არ დაუნიშნავს და თავის სამშობლოში უსახლკაროდ დარჩენილთათვის სადგომები არ დაუმზადებია.

ბუდაპეშტი. დღეს გარდაიცვალა მწერალი მავრ იოკაი.

ათინა. სმირნაში მომხდარ ამბის შესახებ მორიგდნენ. გენერალ-გუბერნატორის თანაშემწემ საბერძნეთის ელჩი ინახულა და ოსმალეთის მთავრობის სახელით სინანული გამოუცხადა. საბერძნეთის ელჩი ანტონოპულო ცეტინიეში გადაიყვანეს.

ლონდონი (რეიტერის სააგ.). „ტაიმს" ბანცზედან ატყობინებენ: პოლკოვნიკმა იონგჰესბანდმა მიიღო დეპეშა ჩინეთის ამბანისაგან, რომელიც აცნობებს, რომ დალაილამა ამბობს, სურსათის და სამხედრო მასალის გადატანაში არ დავეხმარებით და არც ჩემ წარმომადგენელს გამოვგზავნითო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ქუთაისში

ი. „გოკიელოვის შვილები"-ს
სავაჭრო სახლში იყიდება საუკეთესო ღირსების:
შაბიამანი ნამდვილ ინგლისური
გოგირდის ყვავილი „სუბლემა"
მანქანა ვენახის სარწყავი „ვერმორელი"
მანქანები გოგირდის საბერავი.
რაფია ვენახის საკონავი.
აგრეთვე ვერმორელის მანქანის ყველა ნაწილები ცალ-ცალკე. ([illegible]—142—5)

სასტუმრო **იალტა** ნომრებით
მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, [illegible] მჭედლების ქ. კუთხეში. სადილი **ორი** თავით, [illegible] არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 50 კ. [illegible] ლებოთ და უყავოთ 30 კ. სადილი **სამი** თავი[illegible] ჭიქა არაყით, $1/2$-ბოთ. ღვინით და ფინჯანი [illegible] 75 კ. ღვინო ბოთლი 30 კ. და ძვირფასიც. [illegible] რათ იაფათ და ეძლევათ აბონიმენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ.
(8[illegible]—52—21)

დოქტორი მედიცინისა
ვლ. ივ. ინაშვილი
მიიღებს შიგნეულით, ქალების და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ დღისით 1—2 ს. და საღამოთი 5—8 ს.-მდე. ალექსეევის ქუჩა № 7. მიხაილოვის ქუჩის დასაწყისი. (10—125—8)

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,
მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,
აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
СОП
С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარეთ დამზადებული, მრავლად არის
სავაჭრო სახლის
„ლეოპოლდ ნეიშელლერ"-ის საწყობში.
ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6.—4)

Доз. цен. Тифлисъ 23 Апрѣля 1904 г. ელექტრონის სტამბა, წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ის.). (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).